№ 203
სამშაბათი, 19 სექტემბერი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 203
სამშაბათი, 19 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, სოფელ ბაკურციხის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**კნეინა ეკატერინე ივანეს ასულის ვაჩნაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ.** (2—187—1).

**ჩაი**



მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის სასახლის ვაჭრი.

1900 წლის მოსავალი

ჩაის სავაჭრო ამხანაგობა ვ. ვისოცკი და ამხ. მოსკოვში



სავაჭრო მარკა მთავრობის მიერ დამტკიც.

ეს ჩაი ყველა საუკეთესო მაღაზიებს გაეგზავნა გასასყიდად.

საკუთარი განყოფილება იმიერ-კავკასიისა და ამიერ-კასპიის მხრისათვის ტფილისში, მეიდანი, სახლი ზაიანდუროვისა. (5—160—4)

თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონის დიღმის სარდაფებში

**გასასყიდია 7,000 ვედრო**

**საუკეთესო ღვინოებისა.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ მოურავს ი. ა. გუნცაძეს სოფ. დიღომში. (5—184—2)

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—23) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე ამით **აუწყებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა,** რომ მდგომარე წლის 23 ნოემბერს

**ქ. ქუთაისში**

მოხდება თავად-აზნაურთა

**საგანგებო კრება,**

რომელზედაც უნდა აირჩიონ გუბერნიისა და ორის მაზრის—ოზურგეთისა და რაჭის, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი და აგრეთვე მსჯელობა იქონიონ თავად აზნაურთა შესახებს ზოგიერთ კითხვებზედ.

(1—ნ.—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

**ტფილისის კერძო ამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**პ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**მ. გ. წერეთელი**—შ ნაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სვგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაუწყვეტია მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტრუქტორთა რიცხვი გაამრავლოს კახეთში, აღკრძალოს, რომ ფილოქსერისაგან დაზიანებულ ადგილებიდგან არავითარი მცენარეულობა არ იქმნეს გადატანილი და მევენახეობისა და მეღვინეობის სკოლა დააარსოს კახეთში.

*** სამრევლო-საეკკლესიო და წერა-კითხვის გამავრცელებელ სკოლების მაზრის მზრუნველს უმრევლო მღვდლებს ამიერიდგან ჯამაგირად წელიწადში 1,200 მან. დაენიშნებათ და უფლებაც ექმნებათ, 25 წლის სამსახურის შემდეგ 500 მან. პენსია მიიღონ.

*** 1901 წლიდგან იმ თანხას, რომელსაც უწმიდესი სინოდი ახმარებს პირველდაწყებით საერო განათლების საქმეს, მიემატება კიდევ 3,518,570 მან. ამ ფულიდგან 3.467,820 მან. სამრევლო-საეკკლესიო და წერა-წითხვის გამავრცელებელ სკოლების დაარსებასა და შენახვას მოჰხმარდება და 45,050 მან. აღნიშნულ სკოლების მაზრის მზრუნველ უმრევლო მღვდლების ჯამაგირების მომატებასა.

*** უმართებულესის სენატის ახალი გარდაწყვეტილებით განმარტებულია, რომ რკინის გზებზედ მსახური ხელოსნები და მუშები სრულიად განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ ეგრედ წოდებულ საავადმყოფო გარდასახადისაგან, რადგანაც რკინის გზა თითონ მოვალეა საავადმყოფოები და საავადმყოფო თავშესაფარები დააარსოს ამათთვის. ხოლო რომელს რკინის გზასაც თავისი საავადმყოფოები არა აქვს, ან-და არსებული საავადმყოფოები ყველა ავადმყოფს ვერ იტევს, იგინი მოვალენი არიან თავისს ხარჯით უწამლონ ავადმყოფ მუშებს საერობო, საქალაქო და სახელმწიფო საავადმყოფოებში. ამის უფლება აქვს რკინის გზის ყველა მუშასა და მათს ოჯახობას, სულ ერთია მუდმივ მუშათ ითვლება იგი, თუ დროებით მუშათ.

*** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს პეტერბურგში სასოფლო-სამეურნეო აკადემია დააარსოს.

*** როგორც მოსკოვის გაზ. „Русск. Вѣд.“-ი სწერს, განზრახვა თურმე აქვთ მოსკოვში „დედათა საკომერციო სასწავლებელი“ დააარსონ. აღნიშნულს სასწავლებელში 15—25 წლის ქალები მიიღებიან და სწავლა დამთავრებულთ „ბუღალტერ-ქალის“ უფლებანი მიეცემათო. სასწავლებლის წესდება უკვე შემუშავებულია.

*** როგორც ხმა ისმის, სრულიად რუსეთის ფარმაცევტთა პირველ კრების დანიშვნის საქმე მომავალს წელს გარდასწყდება.

*** კადეტთა კორპუსებისათვის ახლად გამოცემულს ფრანგულ და ნემეცურ ენების კურსის პროგრამაში დიდი ცვლილებაა შეტანილი: ამიერიდგან აღნიშნულ ენების სწავლების დროს მეტი ყურადღება პრაქტიკულს მხარეს მიექცევა და მოსწავლეთა დამოუკიდებელს მუშაობას მეტი ადგილი დაეთმობა.

*** საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ საქალაქო სასწავლებლების მასწავლებელ-ინსპექტორებს 1872 წ. 31 მაისის დებულებით შეიძლება დამატებითი ჯამაგირი მიეცეთ, როდესაც მე-5 და მე-6 კლასსებში მეთვალყურეობას ეწევიან. ხოლო რაც შეეხება დაბალ კლასსების დამატებითს განყოფილებებში მეთვალყურეობას, ამის შესახებ კანონში არა არის-რა მოხსენებულიო.

*** როგორც პეტერბურგიდგან იუწყებიან, კავკასიის გზათა ოლქის უფროსის თანაშემწეთ სამინისტროში მყოფი ინჟენერი სმირნოვი დაუნიშნიათ.

*** 20 სექტემბრიდგან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში ტფილისის საბატანიკო ბაღის მცენარეულობათა გასყიდვა დაიწყება.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულმა ი. ს. მედვედევმა დეპეშით აცნობა სამინისტროს, რომ კომისია, რომელიც სამინისტროს განკარგულებით იქმნა შემდგარი სახაზინო გლეხთა მოწყობა-დასახლების პროექტის შესამუშავებლად, 20 სექტემბერს დაიწყებს მოქმედებასაო.

*** ტფილისის საკომერციო სასწავლებელში სწავლა დღეს დაიწყო.

*** ამ ორი-სამი თვის წინად ელისაბედ პატმა სასიკვდილოდ რევოლვერით დასჭრა ორგან პავლე კრიპციკი იმის გამო, რომ კრიპციკი მასთან 4 წელიწადი სცხოვრობდა, შემდეგ თავი დაანება, ჯვარი არ დაიწერა და სხვა ქალს გადაეკიდა. გუშინ, 18 სექტემბერს, ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო ელისაბედ პატტი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება უპირატესობის ჩამორთმევა და ერთი წლითა და ნახევრით დაპატიმრება.

⁂ შაბათს, 16 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ა. ა. ქალანთარის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ქალაქის სატყეო-საბაღე კომისიას, რომელზედაც დაესწრნენ წევრნი: თავ. არღუთინსკი დოლგორუკოვი, ქალაქის მდივანი სტ. ჭრელაშვილი, ქოჩორიანცი და ქალაქის მებაღე. კომისიამ განიხილა ქალანთაროვის მოხსენება ქალაქის ტყეებისა და ბაღების სარწყავად მახათის გორას იქით ხელოვნურად ტბის გაკეთებისა და წყლის გამოყვანის შესახებ. კომისიამ დაადგინა: რადგანაც სასურველია ავლაბრისა და კუკიის აგარაკების მორწყვა, სთხოვონ ქალაქის გამგეობას გამოიკვლიონ წინდაწინვე ბ-ნ ქალანთარისა და ჭრელაშვილის მიერ გასინჯული წყაროები. კომისიამ აგრეთვე დაადგინა საცდელად რკინის მავთულებით შემოღობოს ხეები ქალაქის იმ ადგილებზედ, სადაც უფრო შესაძლებელია მათი გაფუჭება, რისათვისაც გადასდოს 100 მან. და აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს მომავალ 1901 წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, საერო განათლების სამინისტროს განკარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდგან ექვს კლასიან ეპარქიალურ სასწავლებლებში კურს-დამთავრებული ქალები დედათა გიმნაზიების მერვე კლასში გამოუცდელად აღარ მიიღონ ხოლმე.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ქვემო სვანეთში ბ-ნის სერებრიაკოვის ხე-ტყის ქარხნის მუშაობა ამ ჟამად ძალიან კარგად თურმე მიდის.

⁂ შაბათს, 15 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის სოფ. აჭანდარის მცხოვრების ახმეტ ხაზარას ძის სამგულიასი, რომელსაც ჰბრალდებოდა სამი კაცის მკვლელობა: საათგირეი შახანას ძის შაერილისა, ეგია ნადოლიანისა და ოსმან არგუნისა. როდესაც ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიას განუხილავს, ახმედ სამგულია დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია იმისთვის ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 6 წლით კატორღაში გაგზავნა. ტფილისის სამოსამართლო პალატამ შაბათს, 15 სექტემბერს, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო ახმედ სამგულია და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ ს. ანაგა. ეს ერთი კვირაა, ჩვენკენ უკვე დაიწყეს ვენახების კრეფა, მიუხედავად იმისა, რომ ყურძენი მთლად არც-კია მოწეული ზოგიერთს ადგას, მაგრამ ჯავრიანი გლეხი წრევანდელის მოუსავლობის გამო, ამას აღარ დასდევს, დროით უნდა თვალიდგან მოიშოროს აქა-იქ გაფანტული ყურძნის კიწები. მართლაც, შარშანდელ ღვინის მოსავლისა ყველა მადლიერი იყო, წრეულს-კი შრომა ნაკლებად თუ ვისმე დაუფასდა. ჯერ საზოგადოდ სულ ცოტა ესხა, რაც მოისხა და დამწიფება იწყო, ისიც ნახევარი დასჭკნა და ძირს ჩამოცვივდა, ვიდრე პატრონი მოკრეფას მოასწრობდა. ასე მოუვიდა ერთხელ შეწამლულს ვენახებს. ვინც რამდენჯერმე უწამლა, კიდევ არა უშავდარა, რაც ესხა, ის მაინც არ გაფუჭდა. სამაგიეროდ პური და სიმინდი ბლომად მოვიდა.

⁂ კავკავი. სამს ენკენისთვეს დეპეშამ ქალაქ ტფილისიდგან ფრიად სამწუხარო ამბავი მოგვიტანა, რომ სამაგალითო მამულიშვილი და უანგარო მოღვაწე გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი გარდაიცვალა. აქაურმა ინტელიგენციამ მაშინვე გაზეთ „უაზბეგში“ გამოაცხადა, რომ დასაფლავების დღეს, 7 სექტემბერს, ყველა ქართველები და ნაცნობები განსვენებულის პატივ-საცემლად ქართველების ეკკლესიაში შეკრებილიყვნენ. დანიშნულს დროს ადგილობრივის ინტელიგენციის თანდასწრებით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, ხოლო მეორე დღეს, რადგანაც დღესასწაული იყო და ხალხი ბლომად იყო შეკრებილი ეკკლესიაში, ადგილობრივმა მღვდელმა მამა გიორგი ნათაძემ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა და გააცნო დამსწრე საზოგადოებას, თუ ვინ იყო განსვენებული გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, ან რა ღვაწლი და შრომა მიუძღოდა ამ წარჩინებულს ადამიანს სამშობლოს წინაშე. როგორც პირველს, ისე მეორე პანაშვიდზედ გალობდა ადგილობრივი ქართული სკოლის ხორო მასწავლებლის ბ-ნ. ნ. კურდღელაშვილის ლოტბარობით.

⁂ კავკასიის მომავალ 1901 წლის სასოფლო სამეურნეო გამოფენისათვის პროგრამის შემუშავება-შედგენაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე რუსეთის ბაღოსნობის კავკასიის განყოფილების საბაღოსნო გამოფენის გამმართველი კომიტეტი, რომელიც შესდგება თავმჯდომარის სულტან-კრიმ-გირეისა, საქმის მწარმოებლის ვ. პ. ივანოვისა და წევრთაგან: ნ. ნ. შავროვისა, ნ. ნ. სპეშნევისა, ვ. პ. ივანოვისა, ა. ა. გინცბურგისა, ა. ი. ხრისანფოვისა, ი. გ. ქუთათელაძისა, ე. დ. პრილიპკოსა, ი. ა. გურსკისა, ა. ი. სლოვინსკისა, თავ. ჩოლოყაშვილისა, ა. ა. გლასკოსა და გ. გ. ევანგულოვისაგან და აგრეთვე გამგე სამხედრო სამკურნალო ლაბორატორიისა მკურნალი ბ-ნი ლუნკევიჩი.

## წერილი აფხაზეთიდგან

დ. გუდაუთა მდებარეობს სამხრეთით სუხუმიდგან 42 ვერსის მანძილზე. მდებარეობა მშვენიერი აქვს და რამდენისამე საჟენით მაღალია ზღვაზე მაშინ, როდესაც სოხუმი სიმაღლით ზღვის თანასწორადაა. ბევრი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გუდაუთა დაარსდა. 1880 წ. ვინმე ალექსანდროვიჩის (ნაწილის უფროსის) წინადადებით ს. ლიხნში მოვაჭრე მეგრელები და ორიოდე ხონელები, თუ გურულები გუდაუთაში გადმოსულან, რომელიც იმ დროს გაუვალ ჭაობიანს ტყეს წარმოადგენდა და რომელიც სავსე იყო სხვა-და-სხვა საშიში მხეცებით. მეგრელებს, რასაკვირველია, ს. ლიხნის დატოვება არ უნდოდათ, რადგანაც ლიხნი უწინ და ახლაც ითვლება შესანიშნავ სოფლად თავისის ბუნებრივ სიმდიდრითა და მდებარეობით, მაგრამ ალექსანდროვიჩი თურმე ურჩევდა: „აქ ზღვის პირია, ოდესმე შესანიშნავი ნავთ-სადგური იქნება და მასთან დიდი მოძრაობაცო“. მეგრელებმა მართლა მოინდომეს, შეუდგნენ გუდაუთის ტყის გაკაფვასა და ჭაობის ამოშრობას, მაგრამ ხშირად ენერგია ეკარგებოდათ და ამბობდნენ: „ნეტა-თუ აქ ოდესმე, ამ დამპალ ჭაობში, რაიმე მოძრაობა იქნებაო“. ალექსანდროვიჩი კი ამხნევებდა მათ და იაფად აძლევდა დესეტინა მიწას (დესეტინას) 25—30 მანეთ. რაც კი რამე გააჩნდათ და მოუგიათ რამე, ყველა აქ ჩაჰყარეს ჭაობის ამოსაშრობად და რამდენისამე ხნის შემდეგ აქ ჭაობის ნაცვლად წამოჭიმულ იქმნა მშვენიერი კოხტა დუქნები. ცოტა რომ სული მოიდგეს, შეუდგნენ ეკკლესიის აღშენებასა და ჩინებული ეკკლესია გააკეთეს. პირველად მღვდელს სხვა სამრევლოდგან იწვევდნენ, რადგან აქ გაჩერება არავის სურდა; შემდეგ თავიანთი საკუთარი მღვდელიც იშოვეს და ჯამაგირიც თავიანთ ჯიბიდგან დაუნიშნეს. რა-კი მაგრა მოიკიდეს ფეხი, სკოლაც დააარსეს და მასწავლებელს თვითონვე ინახავდნენ თავიანთს ხარჯზედ. რამდენისამე ხნის შემდეგ მთავრობამ კეთილ-ინება და მასწავლებლებს ჯამაგირი დაუნიშნა, სკოლა-კი ორ-კლასიანად გადააკეთა. ეხლა დიდებული შენობაა აგებული სახელმწიფო ხარჯზედ, რომლის კურთხევაც 3 სექტემბერს იყო.

ამ რიგად უმთავრესი ღვაწლი გუდაუთის დაარსების საქმეში სულ მცირე ქართველობას მიუძღვის. რაკი აქ ჩვენებმა ფეხი მოიკიდეს და ცოტა ოდენი მოძრაობა გაჩნდა, გუდაუთაში დასასახლებლად ბევრი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი გამოემგზავრა: სომეხი, ბერძენი, თათარი, და ჩვენებიც. ბოლოს მოსულს ხალხს აქ მზად დახვდა და სასახლებლად მეგრელებისაგან გაკაფულ-გასწორებული ადგილი, მაგრამ ქართული ანდაზისა არ იყოს: „გარეულმა თაგვმა შინაური თაგვი გააგდო“-ო, კინაღამ ისე დაემართა ქართველებს: ახლად მოსულებმა მასპინძელ-ქართველებს გუდაუთიდგან დევნა დაუწყეს. ნეტავი ვიცოდე, რა დაგვიშავებია? იმედია, მთავრობა ასე არ დასტოვებს აქ ერთ მუჭა ქართველებს, რომ ყურადღება არ მიაქციოს და არ გამოიკვლიოს კარგად: 1880 წ., ე. ი. გუდაუთის დაარსების დროს, ვინ გაჩნდა აქ პირველად და ვინ გაჰკაფა და გაასწორა აქაური უღაბური ტყე, ვინ ააშენა ეკკლესია, სკოლა, ვინ დააარსა წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხ.

გიო

## დაბა სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ალავერდი.** წრევანდელი დღესასწაული ალავერდის ტაძრისა ისეთი მრავალ-ხალხიანი ვერ იყო, როგორც სხვა დროსა ყოფილა. საქონლის ჭირის გამო, ხალხს წინადვე გამოცხადებული ჰქონდა სოფლებში, რომ ურმებით წასვლა არ შეიძლებაო და ამიტომ, ვინც-კი იყო მოსული, ზოგნი ცხენოსანნი იყვნენ; ზოგნი ფაიტონებით, დილიჟნებით, ფურგუნებითა და

# ფელეტონი

### ქართული ანბანი *)

ქართულს ენაზედ არსებობს ორი ანბანი: ხუცური და მხედრული. ორი აზრი არსებობს ამ ორის ანბანის შემოღების დროს შესახებ. პირველი აზრი, „ქართლის ცხოვრებაზედ“ დამყარებული ამტკიცებს, ქართული ანბანი მესამე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე მეფე ფარნაოზმა შემოიღოო, მაგრამ იგივე „ქართლის ცხოვრება“ არ განმარტებს, რომელი ანბანი შემოიღო ამ მეფემ, მხედრული თუ ხუცური. სახალხო გარდმოცემა-კი მეფე ფარნაოზს მხედრულის ანბანას შემოღებას მიაწერს. მეორე აზრით, მხედრული ღვიძლი ასულია ხუცურისა,—ხუცური ანბანი-კი სომეხთა მეცნიერმა მესროპმა შემოიღოო მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. შევეხოთ ორსავე აზრს. პირველი აზრი ქართულის ანბანის შემოღების შესახებ ფარნაოზის მიერ უფრო საფუძვლიანად მიჩნეულია ქართულს მწერლობაში. ფარნაოზ მეფის დროს აზრთა გადაცემა ბგერათა (ხმათა) გამომხატავ ნიშნებით ფრიად გავრცელებული იყო. იმ ერებს, რომელთანაც ამ მეფის დროს ჰქონდა საქართველოს კავშირი,—მაგალ., ბერძნებს, ინდოელებს და სპარსებს ჰქონდათ ანბანები. ფარნაოზმა საქართველო უცხო ტომთა ბატონობისაგან გაათავისუფლა და სწავლა-განათლების გასავრცელებლად შემოიღო ზენდური ანბანი სპარსთა მიბაძვით, რომლებთანაც ამ დროს ჰქონდათ ქართველებს ნათესაობრივი (ფარნაოზი სპარსეთის მეფის დარიოზ მესამის დისწული იყო), სარწმუნოებრივი და ზნეობრივი კავშირი. იმ დროს ზენდური ანბანი იხმარებოდა სპარსეთში. ზენდურ მარტივის ანბანის ოც-და-ხუთი ასო შენახულია ქართულს მხედრულს ანბანში. ასოები „დ“, „ც“ და სხ. შეუცვლელად დარჩა მხედრულს ანბანში იმავე სახით, რა სახეცა აქვს ამ ასოებს ზენდურში, ზოგიერთმა ასოებმა შეიცვალეს ქართულს ანბანში თვისი მდებარეობა: სწორს ხაზზედ დაწერის მაგივრად იწერება დასწვრივ და ზოგიც გადაბრუნდა მარჯვენა მხრიდგან მარცხნივ. რომ ნამდვილად ზენდური ანბანი შემოიღო საქართველოში ფარნაოზმა, ეს მტკიცდება იმით, რომ მეორე და პირველს საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ეს ანბანი აღარ იხმარებოდა სპარსეთში: ის გააუქმა ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის დაპყრობის შემდეგ (330 წ. ქრისტემდე). ზენდაურის ანბანის ნაცვლად გავრცელდა სპარსეთში ფეხლევური ანბანი. არაბთა გაძლიერებისა და მათ მიერ სპარსეთის დაპყრობის შემდეგ სპარსეთში გავრცელდა დღემდე ხმარებული სპარსთაგან არაბული ანბანი. ესრედ ზენდური ანბანი ჰბატონობდა სპარსეთში მაშინ, როდესაც საქართველოში ჰმეფობდა ფარნაოზი. ფარნაოზის შემდეგაც შეეძლოთ შემოეღოთ ქართველებს ანბანი, მაგრამ ეს ანბანი ზენდურის მსგავსი აღარ იქნებოდა, არამედ მსგავსი სხვა ანბანებისა. ესრედ მესროპამდის თითქმის რვა საუკუნით ადრე ქართველებს ჰქონდათ თავიანთი ანბანი. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ მეფე მირიანი (მეოთხე საუკ. ქრისტ. შ.) ჰკითხულობდა ძველსა და ახალს წიგნებს ქრისტიანობის ღირსებათა შესატყობლად, და აგრეთვე ქართულ წიგნს, „ნებროთიანად“ სახელდებულს. წმ. ნინოს ცხოვრება დასწერა მირიანის რძალმა რევის ცოლმა სალომემ. ვარაზ ბაქარის ძე მურვანოსი, შემდეგში პეტრე მაიუმელი საქართველოში მშობლიურ წერა-კითხვას სწავლობდა და ყველას აკვირვებდა თვისის ნიჭით. ყოველივე ეს ამტკიცებს იმ უტყუარს აზრს, რომ საქართველოში მესროპის დრომდისაც არსებობდა ანბანი, არსებობდა მწერლობა.

სომეხთა მწერლები კიურიონი და მოსე ქორენელი ამბობენ, რომ მესროპმა გამოიგონაო როგორც სომხური, ისე ქართული ანბანი. კიურიონი ამბობს: მესროპი სომხურის ანბანის გამოგონების შემდეგ წავიდა ივერთა (ქართველთა) ქვეყანაში, წარუდგა ამ ქვეყნის მეფეს ბაქარს და მღვდელ-მთავარს მოსეს, გააცნო მათ თვის მიერ გამოგონებული ანბანი და მათის თანხმობით გამოიგონა ქართული ანბანიც. ამის შემდეგ იმან უბრძანა ერთს ქართულად განსწავლილს ადამიანს, ჯახის, შეეგროვებინა ყმაწვილები სხვა-და-სხვა თემიდგან, რომელნიც თვისი კილოკავებით ერთმანერთისგან განსხვავდებოდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი საზოგადო ენა. მოსე ქორენელი გაიმეორებს ამასვე, მაგრამ თან დასძენს, რომ, ჯახიმ იცოდაო ბერძნული და სომხური ენები და მისის დახმარებით მესროპმა შემოიღოო ქართული ანბანი. კიურიონი იტყვის, რომ საქართველოდგან მესროპი ალბანიაში (კახეთ-შირვან-დაღესტანი) წავიდაო იქაურის ანბანის აღ'ადგენად და, როდესაც დაბრუნდა უკან, საქართველოს სამეფო ტახტზედ ჰნახაო მეფე არციუხი, რომელიც დიდის გულმოდგინებით ავრცელებდა მესროპისგან შემოღებულს ქართულს ანბანს. მაგრამ ქართულს მატიანეს შეიძლება არ შეენახა ჯახის სახელი, როგორც სახელი დიდის თანამდებობის არ მქონე კაცისა, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მესროპის დროს ქართული მატიანე არ მოიხსენიებს არც მეფეს ბაკურს და არც მოსე მღვდელთ-მთავარს, და მეფის არციუხის სახელი ამ მატიანემ სრულიადაც არ იცის. მესროპის დროის მღვდელთ-მთავრებისა და მეფეების სახელები კი ქართულმა მატიანემ დაჭეშმარიტებით იცის. მესროპი დაიბადა 361 წელსა და გარდაიცვალა 441 წელს. საქართველოში 441 წლამდე იყო ათი მღვდელთ-მთავარი და არც ერთს მათგანს მოსე არ ერქვა. ბაქარის სახელით სამი მეფე ჰბრძანებლობდა საქართველოში, რომელთაგან არც ერთი არა ჰმეფობდა მესროპის დროს. თუ რაიმე მსგავსება არსებობს ქართულსა და სომხურ ანბანთა შორის, ეს მსგავსება გარეგანია და არა არსებითი. მხოლოდ ერთი ქართული ასო: „კ“ თვისის გამოხატვითა და წარმოთქმით ჰგავს სომხურს ასოს: „կ“-ს; სხვა ასოები-კი სულ სხვა-და-სხვა ხმებს აღნიშნავენ. ამას გარდა ნუსხა (წვრილი) ქართულ-ხუცური მხოლოდ მოგვაგონებს ასეთსავე სომხურსა, და მსგავსება ქართულის ასო-მთავრულისა მესროპის ასო მთავრულთან სრულიად შესამჩნევი არ არის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ასო მთავრული ყოველს მწერლობაში პირველად სჩნდება და წინ უსწრებს წვრილს ხელსა, მაშინ მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ

*) Очерки по исторіи Груз. словесности. А. Хаханова. вып. второй, стр. 14—21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომეტებულნი-კი ცხენის ურმებით. მართალია, ხალხი წელს ცოტა იყო, მაგრამ მაინც მონასტრის გალავნის წინა და მარჯვენა მხარეს დიდი მინდვრები სულ სავსე იყო, თუმცა მლოცავებს სავაჭროდ მოსულნი სჭარბობდნენ. აქეთ თათრები ჰყიდნენ: ცხენებს, ფარდაგებს, ხურჯინებს და საცალოებსა, იქით ქისტები და მათი გასათხოვარი ქალები, სულ ფერად ხავერდითა და ვერცხლით მორთულ-მოკაზმულნი თავიანთ მოთელილ-შეკერილს ნაბდის ქუდებს ასობით ჰყიდნენ. ზოგი ისეთი მშვენიერი ნაბდის ქუდი იყო, რომ თითო მანეთად და უფრო ძვირადაც გაიყიდა; ქისტების მეზობლად თუშები მოთავსებულიყვნენ ყველით სავსე გუდებით. მართალია, ყველი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ თითო კვერს, რომელიც 11—14 გირვანქას იწონიდა, თერთმეტ-თორმეტ აბაზ ნაკლებ არ იძლეოდნენ. ფშავ ხევსურნი ერთმანერთში იყვნენ არეულნი: ზოგი მატყლს ჰყიდდა, ზოგი სხვა და სხვა ქსოვილებს. ლეკება ხილსა ჰყიდდნენ და სხ.

ხალხით გაჭედილი ამოდენა მოედნები მართლაც მშვენიერი სანახავი იყო, მეტადრე ღამე სამრეკლოდგან, რომელსაც დაცემულს სწორზედ ფარნები ანათებნენ; მრავალ ადგილს უშველებელი ცეცხლი დაენთოთ, გარს შემოსხდომოდნენ, ხის შამფურებზედ მწვადებსა სწვამდნენ და ვახშმობდნენ; მშვენიერი კახური სუფრული და მრავალ-ჟამიერი ისმოდა ყველგან, რომელსაც ქალები და ვაჟები ჯერ-ჯერითა მღეროდნენ. აქა-იქ ლოლ-დუდუკს, დაირა-ნაღარას უკრავდნენ და გაცხარებულს ლეკურსა კვლანჭავდნენ. ერთი საშინელი ხმაურობა და ჟრიამული გაჰქონდათ. ამ გვარი ღამის თევა და მხიარულება მთელს ღამეს არ შეწყვეტილა. მეორე დღეს ხალხი კიდევ მოემატა, ნამეტნავად თუშები.

დაიკრა თუ არა წირვის ზარი, აუარებელი ხალხი ტაძარს მიაწყდა. თითქმის ყოველი ტაძარში შემსვლელი თავისს აუცილებელ მოვალეობად სთვლიდა ტაძრის კედლებში დაყოლილს მაღლა პატარა ეკკლესიაშიაც ასულიყო, ელოცნა და სანთელი დაენთო. აქედგან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ხელთ-ქმნილებაა ეს შესანიშნავი ტაძარი, რომ მისს მაღლა თაღებშიაც კი სრული ეკკლესიებია მოთავსებული საკურთხევლიანად, სადაც თითო მათგანი ასზედ მეტს სულს დაიტევს. იმ სიმაღლეზედ არის ეს პატარა ეკკლესიები, რომ ძირიდგან კაცი რომ მაღლა აიხედავს, ზემოდ მყოფი ადამიანი ბავშვის ტოლად-ღა მოჩანს. ამ უშველებელს ტაძარს სიგრძე 64 ნაბიჯი აქვს და სიგანე 33 ნაბიჯი.

ამ დღეს მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად-უსამღვდელოესი გორის ეპისკოპოსი კირიონი, რომელიც შაბათს საღამოს ტფილისიდგან მობრძანდა საგანგებოდ ამ დღესასწაულზედ დასასწრებლად. თანამწირველნი იყვნენ მონასტრის ბერები და მახლობელი სოფლის მღვდლები. წირვაზედ მამა იოანე შიუკაშვილმა ქადაგება წარმოსთქვა და ხალხს მკაფიოდ განუმარტა მნიშვნელობა ჯვრისა. სხვათა შორის, ქადაგების ბოლოს წარმოსთქვა, რომ ქრისტეს ჯვრის ამაღლების სახელობაზედ ეს უზარ-მაზარი ტაძარი ქართველმა ერმა ააშენა და ამგვარი ჩვენთვის სასიქადულო და სასახელო ტაძრები მოწმენი არიან ჩვენის ისტორიულის წარსულისა, რის ნიშნადაც სხვაც მრავალი გვაქვს ქართველებს წინაპართაგან დატოვებული. იგინი ინგრევიან და ხალხი დახმარებას არ უწევს, შემწეობას არ აძლევს, რომ გათხრებისაგან შეიმაგრონ, თორემ ამგვარ დიდებულ ტაძრების აშენებას ხომ ჩვენის გულგრილობით, დაუდევრობითა და ხელ-მოკლეობით სულ ვეღარ მოვახერხებთო. წირვას დაესწრო რამდენიმე წარჩინებული კაცი, მრავალი თავად აზნაურობა და აგრეთვე ტფილისის საბადოსნო სკოლის მოსწავლენი, რომელნიც ველისციხეში მოსულიყვნენ საუფლისწულო მამულების დასათვალიერებლად.

წირვის შემდეგ ხალხმა კვლავ განაგრძო ლხინი და დროს ტარება, რამდენსამე ადგილს ჭიდაობა გაიმართა; ფოტოგრაფმა ვ. როინაშვილმა ტაძარი და მრავალი სხვა გრუპები გადაიღო. საღამოს ჟამს ხალხი დაიშალა. ყველაზედ უწინ თათრები წავიდნენ, შემდეგ ლეკები, შემდეგ ქისტები; მერე თუშები მოასხდნენ ცხენებს. ყველამ ერთად რამდენჯერმე გააჭენ გამოაჭენეს ცხენები ტრიალ მინდორზედ და მხიარულად გაუდგნენ გზასა.

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის კირიონის მეცადინეობით ალავერდის ტაძრის უმთავრესი თაღი და ჩრდილოეთის მხრივ ერთი კალთა უკვე გადახურულია თეთრი თუნუქითა და ეხლა გადახურვა აკლია კიდევ სამს კალთას. ყოვლად სამღვდელოს სრული იმედი აქვს, რომ თავისს წვლილს ამ აზრით არავინ დაიშურებს და შეძლების-და გვარად ყველა დაეხმარება შეწირულებით.

მათე

## უცხოეთი

**ჩინეთი.** შანჰაიში უკვე შეუდგენიათ სია იმ ჩინელთა, რომელთაც დანაშაულობა მიუძღვით უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოძრაობაში და რომელნიც ინგლისელებისა და გერმანელების აზრით, დასჯილ უნდა იქმნენ. როგორც „დალციელის სააგენტო“ გადმოგვცემს, ამ სიაში პირველ ადგილას მოხსენებულია ქვრივი იმპერატრიცა. იმპერატრიცა ტახტიდგან გადაყენებულ და დასჯილ უნდა იქმნესო. შემდეგ არიან: პრინცი ტუანი,—ტახტის მემკვიდრის მამა; იუნგ-ლუ, ჩრდილოეთ ჯარის სარდალი; ტუნ-ფუ-სიანი, კან სუს ჯარის სარდალი; იუსიანი, ჩან ტუნის გუბერნატორი; ლი-პინ-ხენი, საიმპერატორო ჯარის წინამძღოლი; კან-ხი და ჩო-ჩუჩიაო, მოკრივეთა ორდენის გროსმეისტერი. ყველა ესენი სიკვდილით უნდა დაისაჯნენო. შემდეგ ჩამოთვლილი არიან მანდარინები და ვიცე-კოროლები. ამათგანი ზოგი ადგილიდგან უნდა გადაყენონ, ზოგიც დაპატიმრებულ იქმნენ. როგორც ამ სიიდგანა სჩანს, ინგლისელები და გერმანელები უპირველეს კაცის-კაცების დასჯასა თხოულობენ. საეჭვოა, ჩინეთის მთავრობამ (ე. ი. ამავე კაცებმა) ასეთი წინადადება მიიღოს და თავის წევრების დასჯას შეუდგეს. როგორც „Berl. Tag.“ გადმოგვცემს, აი რა უცნობებია პრინცი ცინს (ანუ ჩინს) შანჰაიში მყოფ ლიხუნგ-ჩანგის შვილისათვის: „მოლაპარაკება ჩვენსა და სახელმწიფოების შორის შეუძლებელი ხდება, რადგანაც სახელმწიფონი უწარჩინებულეს კაცების დასჯასა თხოულობენ. შანჰაიში შედგენილი სია დამნაშავეთა ისეთ კაცების სახელებს შეიცავს, რომელნიც მთელის ჩინეთის თვალს შეადგენენ. ამ სიაში არიან, სხვათა შორის, თვით ლიხუნგ-ჩანგი, ტელეგრაფთა დირექტორი შენი და რამდენიმე ჩვენი ელჩიო“.

— როგორც ჩინეთიდგან დეპეშით სააგენტოებს ატყობინებენ, პრინცი ტუანი სულაც არ აპირებს თურმე ფარხმალის დაყრას. ამბობენ, ტუანი ამ ჟამად დიდ მზადებაშია: ჯარს თავს უყრის, სურსათ ამზადებს, თოფ-წამალ-ტყვიას იპარებს თოფხანებიდგან: აზრადა აქვს ხელ-ახლა დაუწყოს ბრძოლა მოკავშირეთ. ტუანს უკვე უბრძანებია სამხრეთ ჩინეთში მყოფ ჯარის უფროსებისათვის, თავიანთის ჯარით ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ. ამას გარდა, შეტაკებანი პეჩილიის პროვინციაში განახლებულა. ამ პროვინციის ჩრდილოეთით ტიან-ძინისა და პეკინის ახლოს შემდეგ დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა, უმთავრესად ჯარის-კაცები და მოკრივენი. ეხლა ესენი რაზმებად დანაწილებულან და მთელ პროვინციას მოსვენებას არ აძლევენ თურმე. ევროპიელთა ჯარი ერთ ადგილას არ არის, იგი აქა-იქაა გაფანტული, მაგრამ ერთმანეთთან-კი მისვლა-მოსვლა და მიწერ-მოწერა აქვთ. ბევრგან ჩინელებს მოკავშირენი ერთმანეთისათვის მოუწყვეტიათ და მისვლა-მოსვლის ნებას აღარ აძლევენ.

— პეკინიდგან ატყობინებენ „Neve Freie Presse“-ს: „ჩინელები ამბობენ, რომ იმპერატორი და იმპერატრიცა არაფრის გულისათვის არ დაბრუნდებიან პეკინის სასახლეში, რომელიც „ბარბაროსებმა თავიანთის შესვლით წაბილწეს“. ახალ სატახტო ქალაქად, როგორც ვუწყით, ხსიან-ფუ-ანუ სიან-ფუ იქმნა გამოცხადებული. ეს ქალაქი პეკინზედ დიდია, 1000,000 მცხოვრებს შეიცავს და მდებარეობს პეკინიდგან სამხრეთ დასავლეთით.

— ზემოხსენებულივე გაზეთი სწერს გრაფ ვალდერზეეს შესახებ და არკვევს, რა აზრითაა მთავარ-სარდალი პეკინში გაგზავნილი. „თუმცა, ამბობს გაზეთი, ვალდერზეეს პეკინი დაპყრობილი დახვდება, მაგრამ საქმე მაინც ბევრი ექმნება. უპირველეს ყოვლისა გრაფმა სამხედრო საშუალებათა წყალობით უნდა აიძულოს ჩინელნი მაიღონ ზავის პირობანი. ჩასვლისათანავე მთავარ-სარდალი ბრძანებას გასცემს ჩინელთა წინააღმდეგ სამხედრო დემონსტრაციების დაწყების შესახებ. შემდეგ გადასწყვეტავს, რომელი ნავთ-სადგურები უნდა დაიჭირონ უცხო ქვეყნელთ, რომელი ოლქებისაკენ უნდა გაიგზავნოს ჯარი, რა ჯარი უნდა დარჩეს პეკინში და რა სხვაგან გაიგზავნოს. არც ერთმა სახელმწიფომ საბოლოოდ არ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარი პეკინიდგან, რადგანაც ამით დაარღვევს იმ ვალდებულებათ, რომელნიც იკისრეს მაშინ, როდესაც ვალდერზეე მთავარ სარდლად იცნეს. არა ერთხელ ამბობდნენ, რომ ვალდერზეეს სადიპლომატო საქმეებს მიანდობენო, მაგრამ ეს აზრი შემცდარი გამოდგა. სამხედრო საქმე ვალდერზეეს მეტად დიდი ექმნება.

---

ქართული ასო-მთავრული დამსგავსებოდა სომხურს ასო-მთავრულს იმ შემთხვევაში, უკეთუ მათი გამომგონი ერთი და იგივე ადამიანი იყოს. შესანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: ასო „ო“ მესროპის სომხურს ანბანში არ მოიპოვებოდა მეთოთხმეტე საუკუნემდე; ქართველებს-კი ეს ასო მეექვსე საუკუნის გასულსაც ჰქონდათ, რაც ცხადადა სჩანს მეფის სტეფანოზის ფულიდგან, რომელზედაც ამ მეფის სახელი აწერია. „რითი აიხსნება ასეთი სიყვარული მესროპისა ქართულის ენის მიმართ, რომლის ანბანი მან უნაკლულოდ შეადგინა სწორედ იმ დროს, როდესაც თვისს მშობლიურს ანბანს დააკლო მეტად საჭირო ენისათვის ხმოვანი ასო: „ო“? ნუ თუ ეს ფაქტი ცხადად არ ამტკიცებს, რომ ქართული და სომხური ანბანის შემომღებელი ერთი და იგივე არ არის. „ქართლის ცხოვრება“ ხალხურ გარდმოცემის მიხედვით ქართულ ანბანის შემოღებას ქართველთა მეფე ფარნაოზს მიაწერს და ამ ანბანის მესროპის მიერ შემოღების შესახებ არას ამბობს. ნუ თუ, მართლა, სომეხს, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, როგორც მესროპის შესახებ ჰმოწმობს სომეხთა მემატიანე მოსე ქორენელი, შეეძლო შემოეღო ქართული ანბანი?!

ქართული ანბანი მეტად სრულია ქართულის ენის ბგერათა (ხმათა) გამოსახატავად. ამ შემთხვევაში მას ვერც ერთი ანბანი ვერ შეედრება. ქართულის ანბანის სიმდიდრე მისი უტყუარი მოწმეა, რომ ის ძლიერ ძველია, და რომ მის შედგენისათვის ჰშრომობდნენ უსახელო მუშაკნი, რომელთაც ზედ მიწევნით იცოდნენ ქართულის ენის ხასიათი, მისი სული და გული; ასეთი ზედ-მიწევნით ცოდნა ქართულის ენის ხასიათისა არ ექმნებოდა უცხო ტომის შვილს, როგორიც იყო მესროპი. ამიტომ სომეხთა მემატიანეების თქმულებანი, რომ ქართული ანბანი ვითომ მესროპის შემოღებული იყოს, დასაჯერებელი არ არის. იმ თავითვე საქართველოს კავშირი ჰქონდა სპარსეთთან, ინდოეთთან, საბერძნეთთან, რომლებშიაც განათლება იყო გავრცელებული. ადრე, ძლიერ ადრე დაებადა ქართველს ხალხს წყურვილი განათლებისა, წინ-სვლისა თვისის მეზობლების მიბაძვით. ქართული ანბანი ჰგავს ზენდურს, ბერძნულს და ინდოურსა (დევა-ნაგარის); ეს იმ აზრს ამტკიცებს, რომ ამ ანბანის ასოები თანდათან შემუშავდებოდნენ და შეივსებოდნენ ძველის დროითგანვე, როდესაც საქართველოს კავშირი ჰქონდა ინდოეთთან. პირველი თესლი ანბანისა, პირველნი მისნი დასაწყისნი საქართველოში ინდოეთიდგან იქმნა შემოღებული; შემდეგ ეს ანბანი ზენდურის ანბანის ზედ-გავლენით სწორედ მაშინ, როდესაც საბერძნეთის სწავლა-განათლებამ ბერძენთა ახალ-შენების მეოხებით საქართველოში ფეხი მოიკიდა შავის ზღვის ნაპირებზედ (III—II საუკ. ქრისტემდე). ასოების დაწყობის წეს-რიგი ქართულსა და ბერძნულს ანბანში ერთნაირია; ზოგიერთი მათი ასოები, მაგ., ო—ω ერთმანერთს ჰგავს; ქართული სახელები, გამომხატველნი წერის იარაღისა, „მელანი“, „კალამი“ ბერძნულია. ეს უკანასკნელი გარემოება ცხადად ჰმოწმობს, რომ ბერძნულის სწავლა განათლების მეოხებით საბოლოოდ დასრულდა, შეივსო, შემუშავდა ქართული ანბანი. ამის გამო ადვილად საფიქრებელია, რომ ქართული ანბანი მესროპამდისაც არსებობდა და იმის მიერ ამ ანბანის შემოღების შესახებ თქმულება განზრახ სომეხთა მემატიანეთაგან მოგონილია. ამ თქმულებაში ჭეშმარიტების მხოლოდ მცირე ნაწილია. ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ქართველი მეფეები, როგორც ყველგან მოხდა ეს, სცდილობდნენ ხალხი ახალის სარწმუნოების გავლენისათვის დაემორჩილებინათ, ისე კი, რომ ხალხს მიეტოვებინა სამუდამოდ საწარმართო სარწმუნოება და მასთან შეერთებული ზნე-ჩვეულებანი; ფარნაოზის მიერ შემოღებული ანბანიც საწარმართო ანბანი იყო, რადგან ის ქართველთა წარმართობის დროს იქმნა შემოღებული; ამის გამო ქართველ მეფეებს დაებადათ სურვილი ეს ანბანი სხვა ანბანით შეეცვალათ. ამავე დროს მეფეებმა დაიწყეს ტაძრების შენება, რომლებზედაც აწერდნენ ასოების ქვაზედ ამოჭრით აშენებლების სახელთა. მხედრული ანბანი, რომლის უმთავრესი, დამახასიათებელი სახე—კრკალია (дуга), მოუხერხებლად აღმოჩნდა ამ წარწერათა ამოსაჭრელად ტაძრებზედ. შეიძლება მესროპმა სასარგებლო რჩევა მისცა ამ შემთხვევაში ქართველ მეფეებს: იმან ალბად ურჩია მათ შეეცვალათ მრგვალი მხედრული ასოები ოთხკუთხედის, სწორხაზიანი ასოებით, რომელთა ამოჭრა ქვაზედ უფრო საადვილოა, ვიდრე კრკალი მსგავსის ასოებისა. ამას გარდა, ალბანიაში (კახეთ-შირვან-დაღესტანი), რომელიც სწავლა-განათლებით დაბლა იდგა საქართველოზედ, მესროპმა მხოლოდ აღადგინა წინად არსებული ანბანი; თუ ალბანიაში არსებობდა მესროპამდე ანბანი, მით უმეტეს ანბანი უნდა ჰქონოდა საქართველოს, რომელსაც მტკიცე კავშირი ჰქონდა ძველის ქვეყნის თითქმის თითოეულს განათლებულს ერთან. შედარება გვიჩვენებს, რომ „მხედრული“ და „ხუცური“ ერთმანეთსა ჰგავს. „მხედრულის“ კრკალები რომ გაშალო, გამოდის სწორი ხაზები „ხუცურისა“, ავიღოთ მაგალ. ასოები „ნ“, „ს“ და სხვ.. ის პირნი, რომელნიც ამბობენ, რომ „ხუცური“ წინად იქმნაო შემოღებული, საფუძვლად ჰხმარობენ მხედრულ ასოებით დაწერილის წიგნების უქონლობას ქართულ ენაზედ. მაგრამ შეიძლება, რომ ასეთი ხელნაწერები გაჰქრა საქართველოზედ მტრების უთვალავ შემოსევათა სხვა და სხვა დროს. ქართულის მწერლობის ძველი კვალი ეკუთვნის მე V—VI საუკუნეთა: ამ დროს ეკუთვნიან წარწერა არკონის მონასტრისა გორის მაზრაში და წმ. ჯვრის ტაძრისა მცხეთის ახლოს, ტყავზედ დაწერილი ასოები და სასანიდის ქართველ სამეფო გვარის მეფეთა ფულებზედ წარწერანი. ეს ნაშთები დაწერილია ხუცურ ასომთავრულით, რომელიც ჰმეფობდა მეშვიდე საუკუნის გათავებამდე. ამ საუკუნეში სჩდება ნიშნები ნუსხა ხუცურისა, რომლიდგან შემუშავებულ იქმნა მხედრული ანბანი მეათე საუკუნეში. მაგრამ გადაწყვეტით არ შეიძლება ითქვას ჯერხანად, რომელი ანბანია უძველესი, მხედრული თუ ხუცური. ისტორიულ მოსაზრებათა მიხედვით მხედრულია უძველესი; ხოლო ძველ ხელნაწერთა შესწავლაზედ დამყარებული მეცნიერება-კი უძველესად სთვლის ხუცურს. ვიდრე ქართულ ძველ ხელნაწერების ხასიათს დაახლოვებით და საფუძვლიანად არ შევისწავლით, იმ დრომდე ის საკითხი—„მხედრულია“ უძველესი, თუ „ხუცური“, საცილობო საკითხად უნდა ითვლებოდეს.

ილ. ფერაძე

მოლაპარაკების დროს მან, როგორც ჯარის წარმომადგენელმა, უნდა მიადგინოს ჩინელებს სახელმწიფოთა მოთხოვნილებანი. სახელმწიფონი ჯილდოს მოსთხოვენ ჩინეთს. ამ ჯილდოს აღება ვალდერზეეს დაეკისრება. იმის გარდა, რასაც სახელმწიფონი ერთად მოსთხოვენ ჩინეთს, თვითეული სახელმწიფო ცალკე ანგარიშსაც წარუდგენს. გერმანიის ასეთ ანგარიშის გასწორებას ჯარის შემწეობით ვალდერზეე მოითხოვს. ყველა ამის გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოკრივენი ჯერ არ დაწყნარებულან; მათი ბრბონი ხ.ნ აქ ამოჰყოფენ ხოლმე თავს, ხან იქ, ვალდერზეემ საბოლოოდ უნდა გააქროს მოკრივეთა ხსენება. მაშასადამე გრაფ ვალდერზეეს მეტად დიდი და რთული საქმე აქვს ჩინეთში“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

დეპეშებიდგან უკვე უწყიან მკითხველებმა, რომ ძლიერმა ურაგანმა ტეხასში (ამერიკაშია) თითქმის სრულიად გაანადგურა ქალაქი გალვესტონი. ეს ქალაქი იმდენად არის დაზარალებული, რომ საჭიროდა სცნეს იმის სხვაგან გადატანა. ამ ქალაქის სახლების ერთი მესამედი ნანგრევებს წარმოადგენს. ნავთსადგური სრულიად დაქცეულია. იქ ურაგანი ხშირადა სცოდნია, ამიტომ გალვესტონში დასახლებას აღარავინა ჰფიქრობს თურმე. შედარებით გალვესტონი ახალი ქალაქია. იგი 1737 წლიდგან გაშენდა და მდებარეობს მექსიკის სრუტეს ერთ კუნძულზედ. კუნძულიდგან მატერიკამდე რკინის გზისათვის ხიდია გამართული, რომლის სიგრძეც სამი კილომეტრი იქმნება. გალვესტონი კოხტა ქალაქია, ყველა ქუჩები განიერი და სწორე აქვს. ამას გარდა ქალაქი თითქმის ბაღებშია დამალული. ქალაქის თვალს ბირჟისა, წიგნთსაცავისა და უნივერსიტეტის შენობანი შეადგენენ. გალვესტონში 30,000 მცხოვრები იყო. იგი უმთავრესს ნავთსადგურს შეად გენდა ბამბის გასაზიდად. ტეხასში საზოგადოდ ძალიან ბევრი ბამბა მოჰყავთ. ურაგანმა სრულიად გაანადგურა მეოთხედი ბამბის მოსავლისა. დაიღუპა ურაგანის დროს 8000 კაცამდე. ბევრის გვამი ჯერაც არ აღმოუჩენიათ. რა:ა რამე სენი არ გავრცელებულიყო, დაღუპულთა გვამები გემებზედ დაუდეს, შუა ზღვაში მიიტანეს და აქ გადაჰყარეს. ბევრგან მთელი ხროვა ეყარა გვამებისა. ერთ ადგილას, მაგალითად, 600 მოკლული კაცის გვამა ჰნახეს. მცხოვრებთ დიდი წინააღმდეგობა განაცხადეს გვამების ზღვაში გადაყრისა, მაგრამ მოხელენი მაინც თავისას არ იშლიდნენ. გვამები ზღვაშა ღამე გაჰქონდათ. მცხოვრებნი ისე შეშინდნენ, რომ მრავალი ჰქუიდგან შესცდა, უსახლ-კაროდ, ულუკმა-პუროდ დარჩენილთა რიცხვი აუარებელია. გადარჩენილნი ნანგრევებსა სთხრიან იმ იმედით, ეგებ გამოსაკვები რამე ჰპოვნოთო. ამერიკის ქალაქებიდგან ბევრი ტანისამოსი და საკვები მიაშველეს და ყველანი ჯერ-ჯერობით მაინც ვერ გამოუკვებნიათ. როგორც გადარჩენილნი ამბობენ, ურაგანი საზარელი და საშინელი რამ ყოფილა. გალვესტონში ქარიშხალს ტალღა შიგ ქალ:ქში შეუგდია, ქალაქის სახლის სახურავებს იტაცებდა, ტელეგრაფის ბოძებს ძირიანად აძრობდა, კედლებს აქცევდა. ყველა ამისაგან ჯოჯოხეთური ხმაურობა დამდგარა. ძლიერმა ქარიშხალმა ნავები და გემები ნაპირზედ გადაისროლა. ზოგი 6 ვერსის სიშორეზედ. მეორე დღეს 15 გემი და ნავი ნაფოტებად ქცეული ნახეს. ამ ურაგანმა სხვა ქალაქებიც დააზარალა. ქალაქი ალვანი, მაგალითად, სრულიად დააქცია; დააქცია აგრეთვე ქალაქები: კლოდინი, ალტალთმა და კიჩკოვი. გაანადგურა ურაგანმა შაქრის პლანტაციები. მარტო შაქრის პლანტაციებს 3 მილიონ მანეთის ზარალი მიაყენა. შემოწირულების შეკრებას ყველგან დიდის მხნეობით შეუდგნენ. მარტო ერთმა ქალაქმა დალლასმა 40 წუთში ხუთი ვაგონი სურსათი მოაგროვა და გაგზავნა დაზარალებულთათვის. გაგზავნა აგრეთვე კარავებიც. გალვესტონი ეხლა სამხედრო დროის წესრიგზეა. ქალაქში შეიარაღებულნი ჯარისკაცები და პოლიციელნი დადიან წესიერების დასამყარებლად და ქურდ-ბაცაცების გასადევნად. რა წამს ურაგანი ჩავარდა, იმ წამს ქალაქს ქურდები და მძარცველნი მოედვნენ. ამათ უმრავლესობას ზანგები შეადგენენ. 200 ზანგზედ მეტი გამოასალმეს წუთისოფელს ლინჩის სამართლით ქურდობისათვის.

* * *

ამას წინად პარიჟში ორი მგზავრი ჩასულა. ეს მგზავრები ვენიდგან წასულან და თან დიდი ღვინის ბოჩკა წაუღიათ ცარიელი, რასაკვირველია, ბოჩკა გორებ-გორებით მიუტანიათ ვენიდგან პარიჟამდე. ვადაზედ 40 წუთით ადრე მისულან და სანაძლეო მოუგიათ. ერთ ადგილას ბოჩკას რკინის სალტები ასძრობია და იმის გაკეთებას დაუგვიანებია მგზავრები, თორემ ვადაზედ 2 ს. და 10 წუთით ადრე მოვიდოდნენ თურმე პარიჟში.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 სექტემბერი

**იოკოჰამა.** იამაგატის სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება; როგორც ფიქრობენ, ახლის სამინისტროს მარკიზი იტო შეადგენს.

**სოფია.** სპარსეთის შაჰი კონსტანტინეპოლს წავიდა.

**ტიან-ძინი.** შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ შანსის პროვინციაში ჩინელებმა შვეციელი მისსიონერები დახოცესო.

**შანჰაი.** უტყუარ წყაროებიდგან იტყობინებიან, რომ სამხრეთ პროვინციების მეფის მოადგილენი, რომლებიც უცხოელების მეგობრებად ითვლებიან, სამახსოვრო წერილით პრინცს ტუანს, კან-ის და ტუნ-ფუ ცზიანს მძიმე ბრალსა სდებენო. ტუნ-ფუ-ცზიანი ჩინეთის ჯარებს ჰმთავარსარდლობს ისევ. თუ ამერიკის პროტესტი ტუანის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ ჩინეთმა უყურადღებოდ დასტოვა, ამერიკა უარ-ჰყოფს მშვიდობიანობაზე მოლაპარაკებას; მოლაპარაკების გაგრძელებას შეიძლება დასთანხმდეს ამერიკა იმ შემთხვევაში, თუ სამშვიდობო დელეგატები იმპერატორის ცენზურისაგან თავისუფალნი იქმნებიან.

როგორც ნანკინიდგან მოსულ კერძო ცნობებიდგანა სჩანს, სამხრეთ პროვინციების მეფის მოადგილენი მოელიან, რომ გერმანია და ინგლისი ომს გამოუცხადებენ ჩინეთსა და ამიტომ ჩინეთი აჯანყების მეთაურთ აღარ გადასცემს უცხო სახელმწიფოებს. ჯარები და სამხედრო მასალა ტაიენფუში იგზავნება.

17 სექტემბერი.

**პეტერბურგი.** ელჩის გირსის დეპეშა: „უმაღლესი ბრძანებისა თანახმად, შაბათს მთელის მისსიით ტიანძინში მივდივარ“.

„პრავიტ. ვესტნიკ“-ი იტყობინება: დაბეჯითებით ამბობენ, რომ დღე'ს ტაიენფუდგან ბოგდიხანის ბრძანება მოვა, რომლითაც მოკრივეთა მეთაურნი: თავადნი ტუანი, ჩჟუანი და ლანი, კანცლერი კან-ი და პოლიც. მეისტერი ინიანი სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნებიან და ღირსებაც აეყრებათო.

**ლონდონი.** მინისტრი ჩემბერლენი ხელ-ახლად იქმნა არჩეული; ბირმინჰამში სხვა კანდიდატი არ დაუსახელებიათ.

**ბერლინი.** იმპერატორმა ვილჰელმმა რუსის გენერალს სტესსელს უბოძა წითელის არწივის ორდენი 2 ხარისხისა ვარსკვლავითა და მახვილითურთ.

**ბაქო.** საბუნჩის ნავთის სამრეწველოში 15 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ, დიდი ცეცხლი გაჩნდა. დაზარალდნენ სამრეწველოები: არშალუისისა, ნაგიევისა, ნობელისა, თუმაევისა, ამხ. „რადუგა“-სი, ბაქოს ნავთის მწარმოებელ საზოგადოების „რუსეთი“-სა; დაიწვა სულ 97 ნავთის საწარმოებელი, საცხოვრებელი სახლები, 10 რკინის რეზერვუარი, 500 ათასამდე ფუთი ნავთი და სხვა-და-სხვა მანქანები. ცეცხლი ჯერ არ ჩამქრალა. ზარალი აუარებელია.

**ვაშინგტონი.** შანჰაიში მყოფმა ამერიკის კონსულმა აცნობა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ შენს უჩვენებია მისთვის იმპერატორისა და ქვრივი დედოფლის მიერ ტა-ენფუში გამოცემული ბრძანება, რომელშიაც განკიცხულ არიან ჩინეთის მინისტრები, რომ ისინი „დიდი მუშტის“ მოძრაობას აქეზებდნენ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ოთხ პრინცს ჩამოერთვათ ღირსება და პრინც ტუანს ის უპირატესობანი და მხლებლები, რომელნიც მისის თანამდებობის შესაფერად ეკუთვნოდნენ მას. ამას გარდა ნაბრძანებია, რომ პრინცი ტუანი საიმპერატორო გვარეულობის წევრთათვის დაწესებულს განსაკუთრებულს სამართალში იქმნეს მიცემული.

**ჰონკონგი.** ინგლისის გემი „ლუნკიანგი“, რომელიც კანტონსა და ვუჯოუს შუა დადიოდა, ჩინელებმა დაიჭირეს, რომელთაც ხუთი ყუმბარა ესროლეს გემსა. გემის მემანქანე დაჭრილია. როდესაც ინგლისის კონსულს აცნობეს ეს, „ლუნკიანგს“ მიწერილობა გაუგზავნა, რომ ლუკლაოს არხს გვერდი აუქციოს ხოლმე.

**შანჰაი.** გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც რუსეთის იმპერატორს პეკინიდგან ჯარების გაყვანისათვის მადლობას უცხადებს მთავრობა.

18 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ 17 სექტემბერს სევასტოპოლში მიბრძანდნენ.

საზღვარ-გარეთელ გაზეთებში დაიბეჭდა ამბები იმის შესახებ, ვითომ რუსეთმა მანჯურიის ოლქები შეიერთა. ის, თუ რა გზას ადგია საიმპერატორო მთავრობა შორეულ აღმოსავლეთის საქმეში, გარკვევით აღნიშნულია უკვე გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობებში და ამ ცნობათა შინაარსიდგან საკმაოდ ნათლადა სჩანს, რომ გავრცელებული ხმები ვითომ მანჯურის შემოერთების შესახებ სიმართლეს მოკლებულია.

**შანჰაი.** ჩინეთის იმპერატორს სურვილი განუცხადებია პატივი სცეს კეტტელერის საფლავს. ბრძანება იქმნა გაცემული შანსის უმთავრესს ქალაქში სიანვანში სასახლის მომზადების შესახებ, სადაც დაუყოვნებლად იმპერატორი და იმის კარის კაცნი გადავლენ.

**ტიან-ძინი.** ნაშუადღევს ვალდერზეე აქ მოვიდა. სადგურზედ საპატიო დარაჯი იდგა ყველა მოკავშირეთა ჯარისაგან. სადგური გერმანიისა, რუსეთისა და საფრანგეთის დროშებით იყო მორთული; არა სჩანდა ინგლისისა და სხვა მოკავშირეთა დროშები.

**შანჰაი.** გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება, ტაიენფუში გამოცემული 12 სექტემბერს, რომელშიაც შემდეგია გამოთქმული: „საიმპერატორო ტახტი დამნაშავე არ არის საქმის აწინდელ ვითარებაში; ეს ვითარება უფრო იმან გამოიწვია, რომ პრინცები და უმაღლესნი მოხელენი ხელს უწყობდნენ დიდის მუშტის მოძრაობას, ამიტომ ისინი უნდა დაისაჯნენ“. თავში პირველის რანგის პრინცები არიან დასახელებულნი — ჩჟუანტაიხენი და ტაოცინი, რომელთაც უნდა ჩამოერთვათ თავიანთი რანგი და თანამდებობანი, მეორე რანგის პრინცს ტუანსაც უნდა ჩამოერთვას თანამდებობანი. მოსპოს ჯამაგირი და სასახლის სამართალში მიეცეს- შ.მდეგ სასტიკად დასჯილ იქმნებიან მეორე რანგის ჰერცოგი ცაილანი და საცენზურო უწყების ვიცე-პრეზიდენტი ინმია. უმაღლეს მდივნის ამხანაგსა და სჯულის საქმეთა სამინისტროს პრეზიდენტს ჯაოშუჯაოს გასაფრთხილებლად საყვედური უნდა გამოეცხადოს.

**ტაკუ.** ადმირალთა თათბირზედ გადაწყვეტილ იქმნა, რომ რამდენისამე სახელმწიფოს ჯარმა რუსეთთან ერთად იმოქმედოს შანჰაი-გუანზედ წასვლის დროს; ვუარონი ამისთვის ერთ ბატალიონსა ჰგზავნის. ვუარონმა დამზვერი რაზმი გაჰგზავნა პაოტინფუსკენ.

**კონსტანტინეპოლი.** სპარსეთის შაჰი აქ მოვიდა საიმპერატორო იახტა „იზედინ“ ი.

**ტაკუ.** ამბობენ. ნემცები პიოტინფუს დასაჭერად ემზადებიანო. რუსებით განაგრძობენ გზას პეიტანისა ლუტაისაკენ შანჰაიგუანის სიმაგრის დასაჭერად. ლიხუნ-ჩანგს აზრადა აქვს მალე პეკინში წავიდეს.

**იოკაჰამა.** იმპერატორმა მარკიზ იტოს მიანდო ახალის კაბინეტის შედგენა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უგულითადეს მადლობას ვუცხადებთ მე და ჩემი სამრევლო ბათუმში მცხოვრებს ყველა იმ კაცებთ, რომელთაც ჩიბათის სამრევლო სამკითხველოს თანაგრძნობა გაუწიეს: ძმათ კირილე და ლაზარე ჯორბენაძეთა, რომელთაც შემოსწირეს: კირილე მაქსიმელის ძე ჯორბენაძემ სამი მანეთი, ლაზარე ჯორბენაძემ 2 მანეთი, ასლან ბეგაბაშიძემ ერთი მანეთი, პავლე აგაფონის ძე ბეგიჯანოვმა ერთი მანეთი, სიო ივანეს ძე ბერძენიშვილმა ერთი მანეთი, ისაკი თედორეს ძე ქანაყაძემ ერთი მანეთი, პეტრე ბეჩუას ძე დანელიამ ერთი მანეთი, ნესტორ საყვარელის ძე გუჯაბიძემ ერთი მანეთი, რაჟდენ ანტონის ძე ქინკლაძემ ერთი მანეთი, არსენ ივანეს ძე ჩიხლაძემ ერთი მანეთი, ანდრია სპირდონის ძე ყაჭიეიშვილმა ერთი მანეთი, ესეფი სპირდონის ძე ზოიძემ ერთი მანეთი, ალექსანდრე დავითის ძე გოტოშიამ ერთი მანეთი, სიმონ მაქსიმელის ძე გიორგაძემ ერთი მანეთი, იაგორ ნიკოლოზის ძე გიორგაძემ, ყარამან ტოჩიას ძე ხარბედიამ, ეფიმი ლებედიევმა, ნესტორ ბეჟანის ძე რუსიაშვილმა, მოსე ნიკოლოზის ძე ინწკირველმა, ხარიტონ სევასტის ძე მორჩილაძემ, სერგი ყარამანის ძე ბოლქვაძემ, ილარიონ დავითის ძე ზერიძემ, არჩილ სალუქვაძემ, ვიკენტი სტანკევიჩმა, იროდი ეგნატეს ძე თვალავაძემ, ბესარიონ გიორგის ძე დოლიძემ და კალენიკე თ. გოგოლაძემ ათ-ათი შაური; ბლაღოჩინმა კონდრატე ჩაჩიბაიამ შემოსწირა წიგნები: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ ილია ჭავჭავაძისა, „საერო დღესასწაული თ. რაფ. ერისთავის იუბილეის გამო და სახსოვრად 50 წლის ქართულის თეატრის არსებობისა, აზნაურმა ვლასა სარჯველაძემ 1 მ., დიაკვანმა ესე ჯორბენაძემ ერთი მანეთი, ივანე სარჯველაძემ ერთი მანეთი, მედავითნე ივლიანე ჯორბენაძემ ერთი მანეთი, სიმონ ზღულაძემ 75 კ., შავარდენ სარჯველაძემ და პართენ ჯორბენაძემ ათ-ათი შაური და ოქროპირ ზენაიშვილმა ერთი მანეთი. სამკითხველოის შენობის ასაშენებელი მასალა შემოსწირა სიო ჯორბენაძემ ღირებული 1—50 კ., ანტონ ჯორბენაძემ 50 კ., ნიტიფო ჯორბენაძემ 1—20 კ. და ივანე ჯორბენაძემ 40 კაპ.

მღვდელი მოსე ჯორბენაძე

შემოწირულება მიიღება: Въ м. ланчхуты. Завѣдывающему безплатной Земо-Чибатской приходской читальнiей свящ. Моисею Джорбенадзе.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

### პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

19 სექტემბერს

ვანო ატუაშვილისა, რომელსაც ყაჩაღობა ბრალდება.

ნოდარ ჯამალაშვილსა, კაცის მკვლელობა ჰბრალდება.

არჩილ სარალიძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 2 ნაწილის მე-373, 377 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

23 სექტემბერს

დუტუ კირშბაიასი, რომელსაც ცხენის ქურდობა ბრალდება.

ნიკოლოოზ კოჩიშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

25 სექტემბერს

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ზაქარია ჭელიძისა, მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ეგნატე ტოტაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ალექსანდრე მარიამიძისა, რომელსაც კანატთვის ქალის გაუპატიურება ედება ბრალად.

30 სექტემბერს

ხოსია ლომთაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

დავით კალაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.


# განცხადებანი

## კბილის ექიმი

### ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) **უკვდავთა ლ.ლადებანი** ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) **ქართული მწერლობა** მე X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) **Царица Тамара**, ფასი 50 კ.

დ) **Груз. обители внѣ Грузiи**, ფ 25 კ.

ე) **Истор. груз. церкви**, ფ. 40 კ.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე